

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
თეიმურაზ ჭეიშვილის 2022 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ  
საანგარიშო პერიოდი 2022წლის იანვარი - 2022წლის ნოემბერი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულო (2021- 2025წ.წ.)**

საკრებულოს წევრები სულ 39.

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო - 24,

ნაციონალური მოძრაობა – 13

დამოუკიდებელი დეპუტატი - 2

აქედან – კაცი 29, ქალი - 10

5 კომისია:

1. იურიდიულ საკითხთა კომისია
2. კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია
3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
4. ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია
5. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

აქედან – კაცი 4, ქალი 1

2 ფრაქცია:

1. “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო”
2. “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”

აქედან – კაცი -2, ქალი - 0

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**

2022 წ. საკრებულოს მიერ მიღებულია: 140 განკარგულება, 29 დადგენილება,

119 საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებულება

სულ ჩატარებულია 15 სხდომა, აქედან 10 რიგითი და 5 რიგგარეშე

## ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

ადგილობრივ თვითმმართველობაში მთავარი საზრუნავი არის და ყოველთვის იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა.

ჩვენი გუნდის მოსვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის“ ბიუჯეტი, კერძოდ 400 000 ლარით. საკრებულოს მიერ იქნა ინიცირებული პარკინსონით დაავადებულ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 300+50.(44 პირი), ყველა პროგრამა და პროექტი რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს 50 ლ. გაიზარდა, მაგრამ არსებობს ისეთი პროგრამები მაგ: ბინის ქირის ასანაზღაურებელი 180ლ. დაემატა 250ლ. (19 მოქალაქე),ოჯახური ძალადობის სტატუსის მქონე პირების ბინის ქირით უზრუნველყოფა (3 მოქალაქე), ფენილკეტონურიით დაავადებული 18 წლამდე ბავშვი 1500ლ. დაემატა 1000ლ. (6 ბავშვი ), დიდსულოვნება გამოიჩინა მუნიციპალიტეტმა, საზღვარგარეთ მკურნალობის ჩასატარებლად დახმარება გაუწია 18 წლამდე ასაკის ერთ ბავშვს 5000ლ. ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ასაკის 2 ბავშვს 1500ლ.

მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 39 პირი 300ლ.+50ლ.

ფსორიოზით დაავადებული 48 პირი 300ლ.+50ლ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერილური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტი ყურადღებით შეისწავლის სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობას და უწევს დახმარებას. ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით ა(ა)იპ სათნოების სახლს, განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, შექმნილია სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზა და ხდება მათი უზრუნველყოფა კვებით. 2022 წლის მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 190+10=200 ბენეფიციარი. ფუნქციონირებს ა(ა)იპ ინკლუზიური ცენტრი. სადაც განთავსებულია 16 შშმ პირი.

მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულად მუშაობს ამბულატორიები.

## ინფრასტრუქტურული პროექტები

საკრებულოს მიერ განხილული და მოწინებული იქნა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

რგ(პ)ფ-ის მიერ 2021-2022წლების დაფინანსების ფარგლებში დასრულებულია გარდამავალი საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები: სოფ წყალტუბოში (მეორე უბნის და სოფელ ჩუნემის დამაკავშირებელი გზის დარჩენილი ნაწილის), სოფ. წყალტუბოში მე-10 ქუჩის, სოფ. გვიშტიბში 35-ე ქუჩის და სკოლასთან მისასვლელი გზების, სოფ. გვიშტიბში ბეკნარას უბნის გაგრძელებაზე გზების რეაბილიტაციის (ღირებულ-1048999 ლ) სულ 12 მსხვილი საგზაო

პროექტი. სასოფლო გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები 20 - ზე მეტ სხვადასხვა მისამართზე: ქუთაისი - ნოღას დამაკავშირებელ გზაზე (მეორე ეტაპი), სოფელ ბანოჯაში ბარბარე წმინდას უბანში, ასევე მე-2, მე-6, 21-ე, 22-ე და 26-ე ქუჩებზე, სოფელ გეგუთში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, სოფელ ტყაჩირში აშვეთიების უბანში, სოფელ საყულიაში სვანაძეების უბანში, ახალ საყულიაში (სვანების დასახლება) პირველ და მე-2 შესახვევში, სოფ.მაღლაკში №5, №7, №8, №9, №10 ქუჩებზე, ასევე ჩეჩელაშვილების უბანში, სოფელ უკანეთში და სოფელ რიონში მამრიკიშვილების უბანში ტაძართან მისასვლელ გზებზე; მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება სოფ. ოფშკვიტში - გუბას, კეპულაძეების, ჩხობაძეების, ძოდუაშვილების უბნებში, სოფ. გუმბრაში - კლუბის და იობიძეების უბანში, ქ. წყალტუბოში - გამსახურდიასა და ქუთაისის ქუჩების გაგრძელებაზე და სოფ. გვიმტიბში - მაცაბერიძეების და მე-10 ქუჩაზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები.

აქტიურად მუშაობს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამა.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მოპოვებული გრანტით დაფინანსდა 3 პროექტი

2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით შესასრულებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულება 6 943 828 ლარით განისაზღვრა.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები 14 საცხოვრებელ კორპუსში სახურავებისა და სადარბაზოების თანადაფინანსებით შეკეთების თაობაზე, მუნიციპალიტეტის 85%-იანი თანადაფინანსებით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მოთხოვნა ამ მიმართულებით სამუშაოების განხორციელებაზე კვლავინდებურად მაღალია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროგრამის ფარგლებში შეძენილია 36 ხის ძელ სკამი წარწერით „წყალტუბო“ და ხის 50 ცალი სანაგვე ურნა. ამავე ბიუჯეტის ფარგლებში შესყიდულია საქართველოს რუკის კონტურის ფორმის ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები.

„სოფლის მხარდაჭერის “ 2022 წლის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 704 000 ლარი. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მ/წლის თებერვალში ჩატარდა მოსახლეობის კრებები. საკრებულოს მაჟორიტარი წევრი დეპუტატების აქტიური მონაწილეობით, თითოეული სოფლისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში შერჩეული იქნა 59 პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის, მზა ბეტონის და სასმელი წყლის მილების შექმნის , სპორტული მოედნების მოწყობის, სკვერების რეაბილიტაციის, საბავშვო - გასართობი ატრაქციონების, გარე განათების ქსელების, ღვარსადენი არხების მოწყობის სამუშაოებს.

წარმატებით დასრულდა სარკინიგზო ლიანდაგზე საავტომობილო გადასასვლელის პროექტი, შესაძლებელი შეიქმნა ქალაქში ტაბიძისა და თამარ მეფის ქუჩების მოკლე გზით დაკავშირება.

## განათლება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. წყალტუბოში და სოფ. გეგუთში საჯარო სკოლების არარსებობის გამო, რამდენიმე წლის განმავლობაში, სკოლის მოსწავლეებს განათლების მიღება რთულ პირობებში რამდენიმე საცხოვრებელ სახლში უწევდათ. 2022წ. მუნიციპალიტეტის ორივე სოფელში წარმატებით დასრულდა სკოლის მშენებლობა. (240 მოსწავლეზეა გათვლილი) სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა და სსიპ თამარ მეფის სახელობის სოფ. გეგუთის № 1 საჯარო სკოლა.

დასრულდა სოფ.რიონის საჯარო სკოლის შიდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია. ასევე მოეწყო კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით უზრუნველყოფილი სკოლის ბიბლიოთეკა. ევროკავშირის მხარდაჭერით, LAG წყალტუბოს საგრანტო კონკურსის ფარგლებში.

სოფ.ფარცხანაყანევის №4 საჯარო სკოლაში გაიხსნა ახალი სპორტული დარბაზი.

სექტემბერში შეხვედრა შედგა იმ აბიტურიენტებთან, რომლებმაც წელს სტუდენტის სტატუსი და სახელმწიფო გრანტი მოიპოვეს.

საერთაშორისო-საგანმანათლებლო პროექტს «პატრიოტი დიასპორელი" წყალტუბოს მუნიციპალიტეტი შეუერთდა. პროექტის მიზანია: დიასპორელმა მოზარდებმა შეიქმნან საკუთარი სოციალური საქართველოში, გაიჩინონ ახალი მეგობრები. ასევე უკეთ შეისწავლონ საკუთარი ქვეყნის ისტორია, მენტალურად უფრო დაუახლოვდნენ სამშობლოს, შეინარჩუნონ კავშირი საქართველოსთან.

პროექტი „პატრიოტი დიასპორელი“ უცხოეთში მცხოვრები მოზარდების საქართველოს საჯარო სკოლებში გაკვეთილებზე დასწრებას ითვალისწინებს. ოტია იოსელიანის სახელობის ქ. წყალტუბოს პირველი საჯარო სკოლა საქართველოში უკვე მეოთხე სკოლაა, სადაც აღნიშნული პროექტი განხორციელდება.

პირველ საჯარო სკოლაში პატრიოტი დიასპორელის სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“, დიასპორელ ბავშვებს გადაეცათ პატრიოტი დიასპორელის სერთიფიკატები, ხოლო ოტია იოსელიანის სახელობის პირველ საჯარო სკოლას - პატრიოტი სკოლის ტიტული.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის N4 საჯარო სკოლის სპორტულ გამაჯანსაღებელ სივრცეს პარამოფარიკავე, მსოფლიო და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის ირმა ხეცურიანის სახელი მიენიჭა.

ასევე, სკოლის სპორტული დარბაზი ევროკავშირის მხარდაჭერით, LAG წყალტუბოს საგრანტო კონკურსის ფარგლებში აღიჭურვა სპორტული ინვენტარით. პროექტის ფარგლებში მოწესრიგდება ფასადი, სახურავი, მოხდება ეზოს შემოღობვა და კეთილმოწყობა, მოეწყობა წყლისა და კანალიზაციის სისტემები.

შეხვედრა მქონდა საყულის საჯარო სკოლის, ღვაწლმოსილ პედაგოგთან ნათელა სვანაძესთან, რომელსაც საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის სტატუსის მიღება მივულოცეთ და გადავეცით სიმბოლური საჩუქრები.

პირადი ინიციატივით ქალაქის მე-4 საჯარო სკოლაში, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნების ფონდს რამდენიმე წიგნი გადავეცი საჩუქრად და შიდა სასკოლო კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები დავაჯილდოეთ.

დასრულების პროცესშია კოლეჯის მშენებლობა, დაწესებულება აღიჭურვება უახლოესი ტექნოლოგიებით, მოეწყობა საკონფერენციო დარბაზით, ბიბლიოთეკით, სპორტული მოედნითა და სხვა. კოლეჯი ძირითადად ტურიზმის, საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამებს შესთავაზებს.

აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდა სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული ღონის ამადლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა.

კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ასევე მოხდა რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერთან ერთად წარმატებულ წყალტუბოელ სპორტსმენს მარიამ მაისურაძეს იუნორ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვებისათვის მადლობის სიგელი და მიღწეული წარმატებისათვის ფულადი ჯილდო გადავეცით.

## **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს იმ სიახლეებს, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ახორციელებს გენდერული თანასწორობის კუთხით.

2015წლის 25დეკემბრის N205 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეიქმნა საკონსულტაციო-სათათბირო ორგანო „გენდერული თანასწორობის საბჭო“. ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და თანადგომით წყალტუბო

არის პირველი მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში სადაც შეიქმნა საბჭო. საბჭოს ბიუჯეტი 2022 წლისთვის შეადგენს 7000ლ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები არიან: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სამსახურებისა და განყოფილების უფროსები, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები, 5 არასამთავრობო ორგანიზაცია და სხვა. აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან (ათეა). სულ 34 წევრი, აქედან 21 ქალი და 13 კაცი.

ჩატარებულია 3 სხდომა სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ დებულების გაცნობის შესახებ. / თ. ჭეიშვილი / 2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შემადგენლობის შესახებ. / თ. ჭეიშვილი / 3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ 2022 წლის სამუშაო გეგმის განხილვა დამტკიცების შესახებ. / თ. ჭეიშვილი / 4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ 2021 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. / მ. კიკალიშვილი / 5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ოჯახური ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტებთან დაკავშირებით 2021 წლის მონაცემები (სტატისტიკა). / გ. კრავეიშვილი / 6. იმერეთის ფორუმი - 2022წელი / მ. კიკალიშვილი / 7. პლაკატების დამზადება / ლ. ბერძენიშვილი / 8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები / ი. ხელაძე / 9. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოების სიმბოლოების შექმნასთან დაკავშირებით. / თ. ჭეიშვილი / 10. სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფოს სააგენტოს საქმიანობის შესახებ. / ე.ლეჟავა / 11. მუნიციპალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის განხორციელების შესახებ. / ე.კრავეიშვილი /

გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმებული და დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს მიერ. სრულდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხები: დაიბეჭდა ბუკლეტები ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით და ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის ტრენინგ-შეხვედრები.

ერთჯერადი დახმარება გაეწია მარტოხელა სტატუსის მქონე რამოდენიმე პირს (300ლარის ოდენობით) და დედ-მამით ობოლ 2 ბავშვს.

„გენდერული თანასწორობის საბჭოსთან“, არასამთავრობო ორგანიზაცია „კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდის სოხუმის“ მიერ შექმნილია „ქალთა კლუბი“, სადაც გაერთიანებული არიან როგორც საბჭოს წევრები ასევე სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული გვაქვს თვეში ერთხელ ჩავატაროთ შეხვედრა წარმატებულ ქალებთან, რომლებიც ისაუბრებენ თავიანთ წარმატების ფორმულაზე, როგორ მიაღწიეს წარმატებას და გაიარეს ეს რთული გზა.

პირველ ეტაპზე მოწვეული გვყავდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ქალები: ხათუნა მაღლაკელიძე, მაკა ჭელიძე და ირინა ცაავა. 16 სექტემბერს ჩავატარეთ ტრენინგ-შეხვედრა ფემიციდის თემასთან დაკავშირებით.

მეორე ეტაპზე მოწვეული გვყავდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის მკვიდრი ფერმერი ქალბატონი ეთერ მამაგეიშვილი. შეხვედრის თემა: „სოფლად მცხოვრებ ქალთა წარმატებული ისტორიები, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პერსპექტივები. 11 ნოემბერს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ და კულტურულ-ჰუმანიტარული ქალთა ფონდის სოხუმის“, „ქალთა კლუბის“ მიერ მოწვეული გვყავდა საკრებულოს წევრი ირინა ცაავა, რომელმაც გვესაუბრა თავისი საქმიანობის შესახებ.

ნოემბრის თვეში დაგეგმილი გვაქვს კვლევების ჩატარება:

პირველი კვლევა - დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებულ პირებთან.

მეორე კვლევა - საინფორმაციო ხასიათის ძუძუს კიბოთი დაავადებულებში, რამდენად არიან ინფორმირებული და აქვთ ინფორმაცია, როგორ ხდება მათი დაფინანსება, დაზღვევა და სხვადასხვა სახის დახმარება.

გოგონათა ფრენბურთის გუნდი „ წყალტუბო“- სთვის გენდერული თანასწორობის საბჭო გეგმავს სიმბოლური საჩუქრის გაკეთებას, კემოდ: სპორტული ბრენდირებული ფორმების (მაისური, შორტი) შეძენას. 25 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭო შეუერთდა 16 დღიან კამპანიას „არა ძალადობას“

საბჭოს აქვს facebook გვერდი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო - სადაც ვაშუქებთ ჩვენს მიერ ჩატარებულ საბჭოს სხდომებს, ტრენინგ-სემინარებს, ღონისძიებებს, შეხვედრებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციას.

## მოსახლეობასთან შეხვედრები

2022წლის განმავლობაში წყალტუბოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის, მუნიციპალიტეტის მერის, საკრებულოს დეპუტატებთან და კომისიის თავმჯდომარეებთან ერთად ხდებოდა შეხვედრები:

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად წყალტუბოში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე „განახლებული რეგიონები“-ს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა და მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა. დაათვალიერა სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა და სსიპ თამარ მეფის სახელობის № 1 საჯარო სკოლა.

წყალტუბოში, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამა „განახლებული რეგიონები“ საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს. მხოლოდ პირველი ეტაპის

საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც მუნიციპალიტეტების და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების განვითარებას გულისხმობს. პრემიერ-მინისტრთან ერთად ადგილზე აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. გვესაუბრა წყალტუბოს განვითარების შესახებ საინიციატივო პროექტზე „წყალტუბოს ახალი სიცოცხლე“. იმერეთში რეგიონული ტურნეს ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში იმყოფებოდა, სადაც „შელავათიანი აგროკრედიტის“ პროექტით მოსარგებლე ფერმერის, გუგა კაჭკაჭიშვილის თაფლის გადამამუშავებელი ინვენტარი და ფიჭის დასამზადებელი დანადგარი დაათვალიერა.

საომარი მოქმედებების გამო უკრაინიდან ჩამოსულ მოქალაქეებს შევხვდი სამტრედიის, წყალტუბოს, ვანისა და ხონის მაჟორიტარ დეპუტატთან და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერთან ერთად. წყალტუბოში უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვების აქცია ჩავატარეთ. მიმდინარე წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარების მიზნით თანხაც გამოიყო.

საკრებულოს წევრებმა უკრაინაში რუსული აგრესიის შედეგად დაღუპული სამი ქართველი მეომრის ხსოვნას პატივი წუთიერი დუმილით მიაგეს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერთან ერთად ვიმყოფებოდი შილუტეში. საერთაშორისო ურთიერთობები წყალტუბოსთვის მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე წყალტუბოს საერთო ჯამში რვა დამეგობრებული ქალაქი ჰყავს.

წყალტუბოში სამუშაო ვიზიტით მყოფ ლიეტუვას, ქალაქ შილუტეს დელეგაციასთან გავმართეთ შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს წევრები და ადგილობრივმა თვითმმართველობის წარმომადგენლები. შეხვედრაზე მხარეებმა ვისაუბრეთ თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების აუცილებლობაზე და ორი ქალაქის განვითარების კუთხით არსებული წარმატებული გამოცდილების ურთიერთგაზიარების აუცილებლობაზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ერთად სამუშაო შეხვედრა შედგა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისგან მოვისმინე ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე ამ ეტაპზე არსებული პრობლემები. შეხვედრაზე ასევე ვისაუბრეთ მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების საკითხებზე.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესა და მერის წარმომადგენელთან ერთად ქვიტირის თემში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შევხვდით სოფელ ქვიტირისა და ზედა მესხეთის მოსახლეობას. სოფლის საერთო კრებაზე, ღია კენჭისყრის პრინციპით, მოქალაქეებმა თავად აირჩიეს პრიორიტეტული



ინფრასტრუქტურული პროექტები: სოფელი ზედა მესხეთი - სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გასართობი ცენტრის მოწყობა. სოფელი ქვიტირი- სპორტული კომპლექსის შემორაგვა და შენობაში დარჩენილი სამუშაოების დასრულება.

საჩხეურის მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად მოსახლეობას გავაცანით პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ლეხიდრისთავი-საჩხეური-დღნორისის 7,450 კმ საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობას. პროექტი დაიწყება მომავალ წელს და ორ ეტაპად განხორციელდება.

## **გარემოს დაცვა და დასუფთავება**

მონაწილეობა მივიღე ეროვნული ფორუმში „სუფთა გარემო“.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის ინიციატივით დაგეგმილ კამპანიას „დავასუფთავოთ მსოფლიო“ შეუერთდა.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 1993 წლიდან გაეროს გადაწყვეტილებით ყოველ 22 მარტს იმართება, მოეწყო დასუფთავების აქცია.

მუნიციპალიტეტში ჩატარდა დედამიწის დღესთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი კამპანია „დავასუფთავოთ საქართველო“. პირველად 1990 წელს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით აღინიშნა.

მონაწილეობა მივიღე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების საჯარო განხილვში.

## **მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული ღონისძიებები**

მარტოხელა ოჯახებსა და მარტოხელა მოხუცებს მივულოცეთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული.

25 თებერვალს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად პატივი მივაგეთ, საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერთან ერთად 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპულთა ოჯახებს ვესტუმრეთ და დედის დღე მივულოცეთ.

2022 წლის 25 მარტს წყალტუბოში გახეთ „ახალი წყალტუბოს“ დაარსებიდან 85 წლის იუბილე აღინიშნა.

9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანია, საკრებულოს წევრებთან ერთად პატივი მივაგეთ 9 აპრილს დაღუპული ადამიანების ხსოვნას.

თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მეომრების ხსოვნას პატივი მივაგეთ და დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შევამკეთ.

14 მაისი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, თამარის ციხეზე, ტრადიციული სახალხო დღესასწაული „თამარობა“ კულტურული და სპორტული ღონისძიებებით აღინიშნა.

მონაწილეობა მივიღე ეროვნული სამოსის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში. სადაც ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ადგილობრივმა მოსახლეობამ საქართველოს დროშებით მსვლელობა მოაწყვეს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები გაიმართა.

16 ივნისი სახალხო მწერლის ოტია იოსელიანის დაბადების დღეა. 2022წელს 92 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო აღინიშნა.

სოფელ მაღლაკში ელიობა ათეული წლებია განსაკუთრებით აღინიშნება. ტრადიციულად ჩატარდა რიგი კულტურული და სპორტული აქტივობები, რომელიც ა(ა)იპ წყალტუბოს კულტურის ცენტრისა და ა(ა)იპ წყალტუბოს სპორტული კლუბების გაერთიანების მხარდაჭერით გაიმართა.

საკრებულოს წევრებთან ერთად 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს და დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს. 8 აგვისტოს ომიდან 14 წელი გავიდა. რომელიც უმძიმესი დღეა ჩვენი ერისათვის. აგვისტოს ომმა უდანაშაულო ადამიანის და ჩვენი გმირი ჯარისკაცების სიცოცხლე შეიწირა.

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა, სოხუმის დაცემიდან 29-ე წლისთავთან დაკავშირებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან, მერის მოადგილე, საკრებულოს წევრებთან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „შემოდგომის წყალტუბო 2022“ მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა.

